ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:№48. 482509212

თარიღი:02/04/2025

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების

პრივატიზებისათვის პირობებიანი ელექტრონული აუქციონის

გამოცხადებისა და გამოსაქვეყნებელი ინფორმაციის დამტკიცების

შ ე ს ა ხ ებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის", ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების, ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ" წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის №g.49-492503116 განკარგულებაში და ,,წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ'' წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 იანვრის №g.49.492503115 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე 2025 წლის 28 მარტის №g-49.49250873 და №g-49.49250874 განკარგულებების შესაბამისად

ვ ბ რ ძ ა ნ ებ :

1. გამოცხადდეს პირობებიანი ელექტრონული აუქციონი წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, დანართი №1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირობიანი ელექტრონული აუქციონის ფორმით, პრივატიზების შესახებ ინფორმაცია, დანართი №2-ის შესაბამისად.

3. ინფორმაცია განთავსდეს ვებ-გვერდზე www.eauction.ge .

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, გამოქვეყნების დღიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში /ვ.კუპრაძის ქუჩა №11/.

5.ბრძანება ძალშია გამოქვეყნებისთანავე.

გენადი ბალანჩივაძე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი